7140

მწყემსი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11.

№ 5—6 1883—1908 წ. 30 მარტი

Библиотека-Музей имени Акад. И. Грузинского Академия наук

როდის ვეღირსებით ძველი წესწყობილების შეცვლას სასულიერო წოდებაში და ახალის დაარსებას.

როგორც დრო და ჟამი მიმდინარეობს, ისე თან და თან იცვლება ყოველივე წესწყობილება და კანონი. როგორც ახალ-გაზრდობისას ნახმარი ტანისამოსი აღარ ვარგა ვაჟკაცობის დროს, ისე ძველი კანონები უვარგისად ხდებიან რამდენიმე ხნის შემდეგ, ისე სხვა და სხვა წესწყობილებანი, ერთ დროს სასარგებლონი, რამდენიმე ხნის შემდეგ ხალხისათვის აღარ ვარგანან. ამისათვის მიღებულია დროების და ხალხის შესაფერისად შესცვალონ, შემოიღონ სხვა წესწყობილებანი და კანონები. ბატონყმობის დროის კანონები დღეს სრულებით აღარ არსებობენ. შემდეგ ბატონყმობის მოსპობისა მალე შემოიღეს სხვა ახალი კანონები. დაარსდენ მომრიგებელი, ოლქისა და პალატის სასამართლოები, სენატი და სხვ.., რომელნიც წინად სრულებით არ არსებობდენ. ახალი სასამართლოების დაარსების დროს დიდი ლაპარაკი შეიქნა იმაზედ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ სასულიერო წოდებაშიაც: შემოეღოთ ახალი სასამართლოები, თუ დაშთენილიყო სასულიერო კონსისტორიის ძველებური საქმის წარმოება. უფრო განათლებული სასულიერო წოდება ურჩევდა სამღვდელოებას, რომ იქაც შემოეღოთ ახალი სასამართლოები, სამსჯავროები და კონსისტორიები და კონსისტორიის თანახმად საქმის წარმოება გაეუქმებიათ. მაგრამ მოხუცებულმა მიტროპოლიტებმა და უმრავლესმა ეპისკოპოსებმა სრულებით არ ისურვეს ახალი სასამართლოების შემოღება კონსისტორიის წესდებულებანი ზოგიერთებმა დოღმატებად მიიჩნიეს და როგორც დოღმატების შეცვლას, ისე ამ კანონების შეცვლას მოუხერხებლად და შეუძლებლად ხადოდენ და სთვლიან დღესაც მაგრამ ცხოვრებამ ისეთი კითხვები წამოაყენა, რომ ყოვლად შეუძლებელია ყურადღება არ მივაქციოთ მათ და ძველებური წესწყობილებანი არ შევცვალოთ და სხვა ახალი არ დავაწესოთ.

მოვიყვანთ ჩვენი სიტყვების დასამტკიცებელად ფაქტებს, რომ მკითხველი ნამდვილად დარწმუნდეს ძველი წესწყობილების და კანონების დღევანდელ დროში მოუხერხებლობას და უვარგისობას.

ყოველ კაცს ანუ ქალს, რომელიც თავის მოკვლას განიზრახავს, მაგრამ ვერ მოიყვანს სისრულეში ამ ბოროტ განზრახვას, მისდა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, წმიდა მამების კანონებით დაენიშნება ეპითიმია (საკანონო): თოთხმეტი წელიწადი აეკრძალება წმიდა ზიარების მიღება და თოთხმეტი წელიწადი უნდა ინანებდეს კაცი ამ ცოდვას მამათა და ქალი — დედათა უდაბნოში. მოხდა ამისთანა შემთხვევა ქ. ქუთაისში. ერთი ოცი წლის ქალი ბაწრით თავს იღრჩობდა, შეუტყვეს მალე ეს მოქმედება, მივარდენ ბაწარს, ჩამოსჭრეს და ქალი გადაარჩინეს სიკვდილს. შეადგინა პოლიციამ ოქმი და სასამართლოს გარდასცეს. საჯეს და სასამართლომ გარდასცა იმერეთის ეპისკოპოსს კანონის დასადებად. იმერეთის ეპისკოპოსმა გამოუცხადა, რომ მონასტერში თოთხმეტი წელიწადი ენანებია ეს ცოდვა და ამ ხნის განმავლობაში არ ეზიარებიათ. ეს რომ გამოუცხადეს ამ ქალს, იმან განუცხადა მღვდელთ მთავარს:

— მე უბედური ვყოფილვარ და უთუოდ მონასტერში ჩამოვიღრჩობ თავს ბაწრით და თუ ბაწარი ვერ ვიშოვე, ღვლერჭით ან ჩემის სარტყლით. წინეთ ჩემი უბედურება ისეთი მძიმე არ იყო და ეხლა-კი მთლად დაღუპული ვყოფილვარ. ოცი წლის

ადამიანი თოთხმეტი წლის განმავლობაში უნდა ვინანებდე და ვიცადო გაუთხოვარმა; ოცდა თოთხმეტი წლის ქალს, ვინლა შემირთავს? უთუოდ ეხლავე უნდა მოვიკლა თავიო...

ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა მოახსენა კანტორას და დიდის მიწერ-მოწერის შემდეგ თოთხმეტი წელიწადის მონანება თოთხმეტ თვედ შეუცვალეს... ამით გადარჩა საცოდავი თავის მოკვლას.

ძველ დროში, პირველად ქრისტიანობის გავრცელების დროს სხვა და სხვა მძიმე ცოდვის მოსანანებლად ეპითიმია (მონანება) ენიშნებოდა მოძღვრისაგან და სასულიერო სამსჯავროსაგან. უცაბედად კაცის მოკვლისათვის წმიდა მამების კანონით ხუთი და ათი წელიწადი არ შეეძლო დამნაშავეს წმიდა საიდუმლო ზიარების მიღება. დღეს მრავალ ქრისტიანეს ნახავთ, რომ არა თუ ხუთი წლის განმამავლობაში, არამედ ათი და თხუთმეტი წლის განმამავლობაში არ ზიარებულიყოს. ამისთათა ქრისტიანე კაცის დასჯა განა შეიძლება ზიარების აკრძალვით 5—10 წლის განმამავლობაში?

ავიღოთ და გადავათვალიეროთ ქორწინების გაყრის საქმე. სხვა მიზეზთა შორის, ქორწინების გაყრის საქმე იწყება ხოლმე ხშირად ცოლ-ქმრობის კავშირის დარღვევისათვის. დამნაშავე მხარეს უნდა დაუმტკიცონ ცოლქმრობის კავშირის დარღვევა მოწმით. თუ მართალი მხარე თვალთ-მხილველი მოწმით დაუმტკიცებს დამნაშავეს ცოლქმრობის კავშირის დარღვევას სხვა პირთან, კანონი განაშორებს მართალ მხარეს და მისცემს სხვა პირთან შეუღლების ნებას. დამნაშავე მხარეს არ ეძლეოდა ნება გათხოვებისა ან თხოვისა, მაგრამ დღეს ორივეს ეძლევა ნება გათხოვებისა ანუ ცოლის თხოვისა.

კანონით ითხოვება, რომ თვალთ-მხილველი მოწმები იყვნენ ცოლქმრობის კავშირის დარღვევისა. მაგრამ ეს ყოვლად მოუხერხებელია. მეტი საშუალება არ არის, მოწმემ სიცრუით უნდა დაიფიცოს და სთქვას, რომ იგი მაყურებელი იყო ცოლქმრობის კავშირის დარღვევისა და ბრალი დასდვას ცოლქმრობის კავშირის დარღვევისათვის, როდესაც მას თავის თვალით არაფერი არა უნახავს რა.

რატომ არის ასე გაძნელებული ქორწინების გაყრის საქმე? ზოგიერთები განზრახ აძნელებენ ქორწინების გაყრის საქმეს, რადგან ფიქრობენ, რომ თუ ქორწინების გაყრის საქმე გაადვილდა, მაშინ მავნებელ გავლენას იქონიებს ცოლქმრობის კავშირის სიმტკიცეზეო. მაგრამ ეს აზრი ძლიერ შემცდარია. გვირგვინის კურთხევის გაყრის საქმეს მხოლოდ ის შეუდგება, რომელსაც ბევრი ფულები აქვს, თორემ ღარიბი კაცისათვის მოუხერხებელია. არა და ზოგიერთი ცოლქმრის ცხოვრება ცხოვრება კი არაა, ჯოჯოხეთში ყოფნაა. ხან და ხან იქნობამდე მიდის საქმე და იმდენად აუტანელია ზოგიერთი ცოლქმრის ცხოვრება, რომ ზოგიერთი მოთბინებიდან გამოსული თავის მკვლელობაში ვარდება ან აუტანელი ხასიათისათვის უსიამოვნო მეუღლეს ჰკლავს.

ყველა სჯულის ხალხში ურიებს უფრო რიგიანი კანონები აქვსთ ცოლქმრობის გაყრისა. უცხო კაცთან თუ ურიის ქალმა ოთახის კარი ჩაიკეტა და არ გააღეს კარი დაძახებისათანავე, ეს ცოლქმრობის კავშირის რწმენის დარღვევად ჩაითვლება და ქორწინება გაიყრება. ჩვენი კონსისტორიის კანონით კი, უცხო კაცთან რომ ცოლი ერთ ოთახში და ერთ ლოგინში მთელი ღამეც იმყოფებოდეს, თუ თვალით მხილველი მოწამე არ იშოვე..., ეს ცოლქმრობის კავშირის დარღვევად არ ითვლება, არ კმარა საფუძვლად განქორწინებისათვის. ამაზედ კიდევ უარესი ხდება. მაგალითად, ცოლი წავიდა სადმე შორს. სხვა ადგილას კარგა ხნის შემდეგ ეყოლა შვილი. მღვდელმა კანონიერ შვილად უნდა ჩაუწეროს ეს შვილი ქმარს თუ ქმარი დაამტკიცებს მოწმებით, ისიც თვალთ მხილველი მოწმებით ქალის ყველაფერს მოქმედებას ზედმიწევნით, რაც რასაკვირველია შეუძლებელია, მაშინ განაქორწინებენ, თუ არა და ქალს გაამართლებენ.

ამისთანა კანონებით გათამამებული ქმარია თუ ცოლი, რაც ჰსურს, იმას ჩაიდენს და მათი ცხოვრებაც აუტანელი ხდება. განსაკუთრებით რა უბედურ გავლენას იქონიებს ცოლქმრის ზნე-დაცემული ცხოვრება შვილებზე, ამას ვგონებ ყველანი კარგად მიმხვდარნი უნდა იყვნენ...

ქორწინების შესრულების დროს მღვდელი რამდენჯერმე წარმოსთქვამს: „რომელნიც ღმერთმან შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენო". რასაკვირველია, როდესაც შეუღლებულნი არიან, არავინ უნდა განაშოროს, მაგრამ როდესაც ერთისათვის მეორესთან ცხოვრება ჯოჯოხეთზედ უარესია და

ამასთან ერთი რომელიმე ცოლქმრულ კავშირის ფიცსა სტეხს და სთელავს, მაშინ ბევრად საუმჯობესოა მისგან განშორება.

ებრაელების ცხოვრებაში ცოლქმრული კავშირის დარღვევით განქორწინება ძლიერ იშვიათია. რადგანაც ყველა ერიდება ამ კავშირის დარღვევას, და ყველამ კარგად იცის, თუ როგორ ადვილად შესაძლებელია დამტკიცება ამ კავშირის დარღვევისა.

ისეთივე ძნელი იყო განქორწინება უცხოეთში, როგორც დღეს ჩვენშია, მაგრამ ბოლო დროს შესცვალეს კანონები და იქ დღეს განქორწინების საქმე გაადვილებულია. ამ კანონების გამოცვლის შემდეგ უფრო ბევრი ქორწინება სრულდება უცხოეთში, ვიდრე წინეთ იყო, და არავითარი მავნებელი გავლენა არ მოუხდენია ცოლქმრობის და ოჯახობის მდგომარეობის საქმეზე, როგორც ჰფიქრობდენ ამას წინეთ.

დროა, ამ საქმეს ყურადღება მიექცეს და სასულიერო უწყებამ მოიშოროს თავიდგან განქორწინების საქმეების განხილვა-გარდაწყვეტა. ამით სრულებით არა ევნებარა ცოლქმრობის საქმეს და ზნეობრივად არავითარ დაბრკოლებას არ უნდა მოველოდეთ.

შემდეგ ნომრებში ჩვენ შევეხებით სასულიერო წოდებაში დამნაშავე პირთა განსამართლების საქმეს საზოგადოდ სინოდის უწყების სასულიერო წოდებაში და განსაკუთრებით საქართველოში.

დეკ. დ. ღამბაშიძე

მღვდელთ მთავრების გადაყვან-გადმოყვანა.

იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ლეონიდი უწმიდესი სინოდის განკარგულებით გადაყვანილ იქმნა გურია-სამეგრელოს კათედრაზე და მის ადგილზე გადმოყვანილ იქმნა ყოვლად სამღვდელო გიორგი. არავითარი ცნობა არ არის, თავის სურვილით შესცვალეს მღვდელთ-მთავრებმა თავიანთი კათედრები, თუ რაიმე მიზეზის გამო, მათდა დაუკითხავად გადაიყვანეს ურთიერთ ადგილზედ. დიდებული გაცილება და მიგებება არც ერთის არ ყოფილა, როგორც ჩვეულებად აქვსთ ხოლმე შემოღებული. არც ერთის სამწყსოს და არც მეორისას, უმეტეს ნაწილს, არც კი გაუგია, ისე მოხდა ამ მღვდელთ-მთავრების გადაყვან-გადმოყვანა. არც გასაკვირველია ეს ეხლანდელ დროში, როდესაც სამწყსოს სრულებით არას ჰკითხვენ არც დანიშნვას და არც დათხოვნას და გადაყვანას...

როგორ მიეგებენ ფოთში ახალ მღვდელთ მთავარს—არ ვიცით და არც არავინ შეგვატყობინა. ვიცით მხოლოდ ცოტაოდენი ქუთაისის კათედრის სობოროში მობრძანების შესახებ ყოვლად სამღვდელოის გიორგისა. აქ მათ მეუფებას მიჰგებებია სამღვდელოება და საზოგადოება. სობოროში მღვდელს იოანნე კერესელიძეს მოუხსენებია მოკლე სიტყვა, რომელიც მიახლოვებით აქვე მოგვყავს.

„კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ასე აღტაცებით მიეგება მორწმუნე ებრაელთა ერი იესო ქრისტეს შესვლას ქალაქს იერუსალიმში. ეგეთივე აღტაცებით ვეგებებით ჩვენ, თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობის მობრძანებას ამ ღვთის ტაძარში თქვენი სამწყსო და როგორც მორწმუნე ებრაელნი, ჩვენც წრფელის გულით ვიტყვით „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“. ქრისტე მაცხოვარმა გვამცნო ჩვენ, დავიცვათ მისი მცნება. მცნება მისი არის, რათა ვიყვარებოდეთ ურთი ერთ შორის. სადაც სიყვარული არ არსებობს, იქ არ არის ღმერთი, იქ არ არის ქრისტიანობა. დღეს ჩვენში ეს ქრისტესაგან ნამცნევი სიყვარული ძლიერ დასუსტებული არის. ვიმედოვნებთ, ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, ამ სამწუხარო მოვლენას მიაქცევთ უმთავრესად თქვენს მწყემსთ-მთავრულ ყურადღებას და აღადგენთ თქვენდამო რწმუნებულს იმერეთის სამწყსოსა შინა ძველებურ ქრისტიანულ სიყვარულობას მწყემსთა და სამწყსოთა შორის. ხან-მოკლე სამსახური თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობისა გურია-სამეგრელოს სამწყსოში და ამ მოკლე ხანში დამსახურებული სიყვარული, როგორც მწყემსთა, ისე სამწყსოთაგან გვაიმედებს, რომ თქვენი მსახურება ახალ სამწყსოში აღადგენს რამდენადმე მაინც იმ სიყვარულობას, რომელიც სუფევდა ჩვენში ძველ დროში. ვიმედოვნებთ, რომ თქვენი მეუფების სამსახურით მოგვაგონებთ სულ-მნათის და მთელი სამწყსოსა და სამღვდელოების საყვარელ, მწყემსთ მთავრის ნეტარ-ხსენებულის გაბრიელის დროს. ესეთი ნდობა

და სიყვარულობა დაიმსახურა მან მით, რომ იგი ყოველს საქმეში და ყოველს შემთხვევაში ღვთისგან მინიჭებულ სამწყსოს მმართვა გამგეობაში ეკითხებოდა თავის გონებას და თავის გამოცდილებას. მაღალი სწავლა, რომლითაც აღჭურვილი ხართ და ქვეყნიური გამოცდილება ხანგრძლივი სამსახურით მოზარდ თაობის აღზრდისა და განათლების საქმეში, იმედს გვაძლევს, რომ თქვენი სამსახური ჩვენს სამწყსოში იქნება ნაყოფიერი და სასარგებლო. კურთხეულ იყოს, მოწყალეო მეუფეო, თქვენი მოგზრძანება და მრავალ-ჟამიერ თქვენი სიცოცლე".

* * *

დასაწყისი.

(თარგმანი)

„მოვედით უფროს ხოლო ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაილისათა; და მირახვიდეთ, ჰქადაგებდით და იტყოდეთ, ვითარმედ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა." (მათ. X, 6 – 7).

დადიოდა იესო იუდელების ქალაქში და სოფლებში და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისა ღვთისასა. დადიოდა ერთ წელიწადს, მეორეს. ყველგან ხალხი გარს ეხვეოდა. იერუსალიმის ტაძრის კარიბჭეში, უდაბურ მთის წვერზე, მწვანედ მობიბინე მინდვრებში, ზღვის ნაპირს — ათასობით მსმენელნი გულსმოდგინედ ყურს უგდებდნენ მის თვითეულ სიტყვას.

მოიღალა ხალხი ცხოვრების უსამართლოებით.

როგორც ჰაერ-დახშულ ოთახიდგან სუფთა ჰაერზედ, ისე მიიწევდა ხალხი ღვთის სიმართლისკენ. სიტყვა ქრისტესი ისეთი სიყვარულით იყო აღსავსე, ისე თვალნათლად უჩვენებდა ხალხს მის უსამართლოებას, ჰპირდებოდა ისეთ სიხარულს ცხოვრების განახლებით, რომ იგი ხალხისათვის პურზედ უძვირფასესი იყო.

მწიგნობართა და ფარისეველთ ეზიზღებოდათ ხალხი და ამბობდნენ იმაზედ:

„წყეულია ხალხი ესე, უვიცი სჯულისა."

იმათ მიაჩნდათ თავისი სამწყსო თავხედათ, ყრუთ ღვთის მოწოდებაზე და არ ასწავლიდნენ მას.

მაცხოვარი-კი ხედავდა გულსმოდგინე მსმენელთ, და ამბობდა, რომ ხალხს სწყურია სიმართლე, მაგრამ არ იცის სად იპოვოს იგი, რომ ხალხი უვიცია, რადგან არავისაგან არ ესმის კეთილი დარიგება. ხალხი თითქოს გაქსუვდა, როგორც უპატრონო თავდანებებული ჯოგი. ხალხს არ ესმის ქადაგება, არსაიდან ხედავს, რომ იმაზე ზრუნავდეს ვინმე, და ამისათვის გაველურდა იგი, დახეტიალებს, როგორც ცხვრები უმწყემსოდ. მაგრამ აი გაისმა ხმა ქრისტესი; გაისმა სოფლებში და ქალაქებში სიტყვა ღვთის სასუფეველზე, და ხალხმა გაიწია მოძღვრისაკენ. გროვდებოდა იმასთან აუარებელი ხალხი; რამდენიმე ათი ვერსის მანძილიდან მოდიოდნენ, რომ მოესმინათ იმის სწავლა, ქადაგების სმენით გატაცებულთ ჭამაც-კი ავიწყდებოდათ ხედავდა ყველა ამას იესო, ებრალებოდა ხალხი და ეუბნებოდა თავის მოწაფეებს: „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ. ევედრენით უფალსა სამკალისასა, რათა გამოავლინნეს მოქმედნი სამკალსა თვისსა." (მათ. IX, 35—38).

მაგრამ მანამ მოვლენ მუშაკნი, პურის დატოვება დასაპნევად არ შეიძლება: როცა მარცვალი სცვივა, უნდა აიკრიფოს იგი. ამისთვის იესომ მოუწოდა თორმეტ თავის მოწაფეებს, გაგზავნა ისინი, ამცნო და ჰრქვა: „გზასა წარმართთასა ნუ მიხვალთ, და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეჰხვალთ. არამედ მივედით უფროს ხოლო ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაილისათა. და მირახვიდეთ, ჰქადაგებდით და იტყოდეთ, ვითარმედ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა." (მათ. X, 5—7).

შემდეგში, როდესაც შორდებოდა სამუდამოდ მოწაფეებს, იესომ უთხრა მათ: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი, და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქვენ." (მათ. XXVIII, 19—20).

ახლა-კი გადაჭრით საზღვრავს მათ ქადაგების ადგილს: „წარმართთა ნუ მიხვალთ, და სამარიტელთან ნუ შეხვალთ, მიდით მხოლოდ ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაილისათა."

საქმე ქრისტეს ქადაგებისა მთელ ქვეყნად — დიდი საქმეა; ყველას არ შეუძლიან. იგი ითხოვს ბევრ დიდ თვისებას სულისას, დიდ მომზადებას. აქ საჭიროა არა მარტო სიტყვები; საჭიროა თავგანწირული სიყვარული, სამაგალითო სიმშვიდე, მაცხო-

ვრის მცნებების ცხოვრებაში განხორციელება.

ბოროტი გული შეიძლება მოლბეს მხოლოდ გულითადივე სიყვარულით. თორემ მარტო სიყვარულის სიტყვები, შეუფერებელის საქმეებით, გაუღვიძებენ ხალხს უფრო ბოროტებას, როგორც წითელი ფერი გააშმაგებს ხოლმე ხარსა.

აღმოსავლეთის რომელიმე ბრძენთან და მასწავლებელთან ერთხელ მივიდა მოწაფე და სთხოვა ნება მიეცა იმისათვის წასულიყო წარმართებთან და ექადაგნა მათთვის ახალი სწავლა ცხოვრებისა.

—„შენ გინდა მოამზადო ხალხი ახალი ცხოვრებისათვის; მაგრამ შენ თითონ მომზადებული ხარ ამისთვის?“ - ჰკითხა მასწავლებელმა.

— გამომცადე, მასწავლებელო!—მიუგო მოწაფემ.

— შენ ემზადები უცხო ხალხთან წასვლას. ისინი შეიძლება შენ მტრულად დაგხვდნენ. ბრიყვები, ულმობელნი ვერ მიხვდებიან სიმართლისა და სიყვარულის სიტყვების მნიშვნელობას. ისინი მასხარად აიგდებენ შენს გულითად საუბარს. რას იფიქრებ შენ იმათზე, როგორ მოექცევი იმათ, როდესაც შენს წმინდა ცხოვრების მიმართ მოწოდებაზე, ისინი გიპასუხებენ შეურაცხმყოფელის დაცინვით?

— მე მოვექცევი მათ სიყვარულით,— უთხრა მოსწავლემ; ვიფიქრებ, რომ ისინი ძალიან კეთილი ხალხი ყოფილან: იმათ შეუძლიათ მაგინონ და ისინი-კი მხოლოდ დამცინიან.

— რომ სიმართლის ქადაგებაზედ დაგიწყონ გინება?

— მე ვიფიქრებ მათზე: აი კეთილი ხალხი; ისინი მხოლოდ მაგინებენ, და რომ მოინდომონ ჩემი ცემაც-კი შეუძლიათ.

— ესეც შეიძლება მოხდეს. შენ არ შეუშინდები იმათ გინებას, და შენ საქმეს განაგრძობ. ისინი, განრისხებულნი, გცემენ: გცემენ ჯოხებით, ქვებს გესვრიან. როგორ მოეპყრობი მაშინ იმათ?

— მე მაშინ სიყვარულით მადლობას გადავუხდი მათ: იმათ შეეძლოთ ჩემი შუბებით ჩხვლეტა, ხანჯლით დაჩეხა, და ბოლოს, ჩემი მოკვლაც, და ისინი-კი მხოლოდ მცემენ.

— ელოდე ამასაც. მზად იყავი, რომ მიიღებ მძიმე ჭრილობებს და თვით სიკვდილსაც. ხალხის ბოროტებამ არ იცის საზღვარი. ხალხი რაც მომეტებულად ავადაა თვალების ტკივილით, მით მომეტებულად უსიამოვნოა მისთვის მზის სინათლე.

„ბევრმა სიმართლის მიმდევარმა დაანთხია სისხლი, მიიღო სიკვდილი ხალხის სიყვარულისათვის. შენც, ადვილად შეიძლება, შეგხვდეს ის ხვედრი. მაშინ რაღას იტყვი, როცა შენზე წამოსულ ხანჯალს დაინახავ?

— მადლობის ლოცვით მივაპყრობ ზეცას თვალებს: „ღმერთო, შენ მიწვევ მე უღირსსა შენთან? დიდი და სახიერი ხარ შენ! გამოუცხადე შენი წყალობა ამ ხალხს. დაე ჩემი სისხლი, შენი ჭეშმარიტებისათვის დათხეული, აღმოცენდეს ხალხის გულში სიყვარულითა და სიმართლით.“

გადაეხვია მოწაფეს ბრძენი, აკურთხა და უთხრა:

— წადი! შენ მომზადებული ყოფილხარ ახალი ცხოვრებისათვის, და მოამზადე სხვებიც. როგორი ყინულიც უნდა იყვეს ხალხის გულში, სიყვარული, როგორც მზე, მაინც დაადნობს.“

ამნაირი მომზადება რომ თავგანწირულის სიყვარულით და სრულის სიმშვიდით გამოეცხადებინათ ქრისტეს სიმართლე გარყვნილ წარმართთათვის და გადამტერებულ სამარიტელთათვის—მოციქულებს იმ ხანაში, როდესაც იმათ აგზავნიდა მოძღვარი, ჯერ არა ჰქონდათ. მზე რომ ამოდის, ერთბაშად არ ანათებს ქვეყანას: პირველად მიაშუქებს სიმაღლეებს, შემდეგ დედამიწას და ბოლოს დაბლობებს და ფრიალოებს. ეგრეთვე ქრისტეს ნათელიც ნელნელა ანათებდა ყველა მხარეს მოციქულების გულისას. პირველ ხანს მაცხოვარი ხშირად აყენებდა და ასწავლიდა მოწაფეებს. მოციქულები ხშირად ეცილებოდნენ ერთმანერთს პირველობას; ჰკითხულობდნენ, რა საჩუქარი მოელით იმათ, რომ დაუტევეს ყოველივე და შეუდგნენ იესოს; გულის-წყრომით ჯავრდებოდნენ, უნდოდათ ელოცნათ სამარიტელების დაწვაზე, რომელთაც არ შეუშვეს ისინი თავის სოფელში; არ გრძნობდნენ ტანჯვის საჭიროებას ხალხის ცხოვნების საქმისათვის, ეუბნებოდნენ მაცხოვარს: „უფალო, ნუ სჩადიხარ მაგას (ესე იგი, ნუ მიდიხარ ჯვარზე), დაინანე შენი თავი.“ ამისთვის იესო მოწაფეთა ქადაგების ადგილს საზღვრავს, სიტყვით: „გზასა წარმართთასა ნუ მიხვალთ, და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხვალთ“. ყრუსთან მოლაპარაკეს

უნდა ჰქონდეს განსაკუთრებით მაღალი ხმა; მძიმე ჰრილობის უტკივილოდ მორჩენისათვის საჭიროა რბილი, ნაზი, მოსიყვარულე ხელები. მოციქულები ამისათვის ჯერ მომზადებული არ იყვნენ იმათ ქცევაში და ლაპარაკში გამოიხატებოდა გულფიცხობა, წყრომა. ეს არა თუ არ მიიზიდავდა, უფრო შეაჩერებდა ახალ სწავლას წარმართთა და სამარიტელთა შორის. იუდეელების შესახებ-კი სულ სხვა არის: მათ ქვეყანაში ქვა არ არის, იქ მოხნული მინდორია. მიწა ელის დათესვას. ხალხი იტანჯება სულიერის სიმშილით. ხალხი უგზო-უკვლოდ დახეტიალებს, როგორც ცხვრები უმწყემსოდ: აქეთ იქით ეცემიან, ეძებენ, ვინ ასწავლის მათ ცხოვრების გზას.

როგორც მიწას, სიცხით გადამწვარს, სწყურიან ნამი, აგრეთვე ხალხი ილაჯ-გაწყვეტილია ღვთის სიმართლის წყურვილით.

— შეხედეთ ამ აუარებელ ხალხის გროვას, გარშემო რომ გვეხვევა—ეუბნებოდა მაცხოვარი მოწაფეებს—ეს ხომ ღვთის ყანებია, სამკალად მოწეული უფლის ბეღლისათვის. მოდი მხოლოდ და მოჰკრიფე. მაშ წადით თქვენ ამ უპატრონო ცხვრებთან, ახარეთ სიტყვა ცხოვნებისა დაღუპულს ხალხს ისრაილისას.

მოციქულებს იუდეელებისათვისაც არ შეეძლოთ ჯერ ესწავლებინათ გზები ცხოვრებისა. იმათ ჯერ ბევრი არა იცოდნენ-რა; შემდეგში ჩახვდნენ (იოან. XIII, 7). ამისთვის იესომ ჯერ არ მიანდო მათ ქადაგება სახარებისა ღვთის სასუფეველზე. მათეს სახარებაში ჩვენ ვკითხულობთ თვით მაცხოვარზე, რომ ის დადიოდა და ჰქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა. (მათ. IX, 35). მოწაფეებს-კი ის ეუბნება: „მირახვიდეთ, ჰქადაგებდით და იტყოდეთ, ვითარმედ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“. ესე იგი, მოციქულების ქადაგების საგნად ღვთის სასუფევლის ახსნა-კი არ უნდა ყოფილიყო, რომელიც თითონაც ჯერ კარგად არ ესმოდათ, არამედ მხოლოდ იმის ამბავი, რომ მოახლოვდა სასუფეველი ღვთისა, რომ ახალი ცხოვრება შესაძლებელია, რომ ნაპოვნია საშუალება ბოროტებისა და ტანჯვისაგან გამოსახსნელად. თუ ვისმე უნდა გაიგოს სასუფეველი ღმრთისა, როგორ უნდა იპოვნოს იგი, მივიდეს თვით მოძღვართან. მოწაფეების საქმე ჯერ იმაში მდგომარეობდა, შეეტყობინებიათ ჭეშმარიტების მძებნელთათვის, რომ ჭეშმარიტება მოვიდა ქვეყნად, და რომ ეს ჭეშმარიტება არის იესო ქრისტე. გათენდა დილა ახალი ცხოვრებისა, ამოვიდა მზე ჭეშმარიტებისა ქვეყნად, და ხალხს-კი ათასობით გული ელეოდა ნოტიო სარდაფებში და მიწის ქვეშ ბნელ ადგილებში. იესო აგზავნიდა მოწაფეებს ამ ხალხში, რომ გამოეყვანათ იგი სინათლეზე.

ასეთი საქმე შესაძლებელია და სავალდებულოა ჩვენთვისაც. წასვლა ქვეყნის კიდეზე და სახარების ქადაგება წარმართთა შორის,—ეს ღვაწლი ყველასათვის ხელ-მისაწვდომი არ არის. ბევრს არ შესწევს სულის ძალა, არა აქვს საკმარი სულისკვეთება; მაგრამ ის-კი ყველას შეუძლიან, რომ თავისს მოყვასს, თავის შეცდომილს მოძმეს მოუწოდოს სახარებისაკენ. ჩვენ თუ ბევრი არ გვესმის სახარებაში,—ეს დაბრკოლება არ არის. შენ ჯერ ნუ ახსნი სახარებას; შენ მხოლოდ უჩვენე იგი ხალხს, მოაგონე მას: „აქ არის ჭეშმარიტება, აქ არის აღსნა ცხოვრების ნასკვისა“. სახარება თითონ აჩვენებს თავის მოქმედებას; შენ მხოლოდ მიიყვანე იმასთან ხალხი. დაე, ხალხმა ყური მაინც ათხოვოს მას; ერთი თვალით მაინც ჩახედოს იმის ფურცლებს, ხელში მაინც აიღოს იგი, — და მაშინ სახარება თვითონვე იქონიებს მოქმედებას ხალხზე, თვითონვე შეითვისებს მას. შემდეგში, ბევრი ხალხის საერთო ძალით, ან ცალკე თვითეულ ჩვენგანისა, ღვთის შეწევნით, შევიგნებთ სახარების აზრსაც; ეხლა სანამ გარეგნულადაც-კი ასე ცოტად ვიცნობთ სახარებას, დაუღალავად ვიძახოთ: „გზა-დაბნეული, სანამ ადგილის გეგმას არ აიღებს, ვერ გამოვა გზაზედ; სანამ სახარებას არ აიღებ, ვერ გაარჩევ ცხოვრების დახლართულობას“. სახარების კითხვა — ეს ანბანია, დასაწყისია ახალი ცხოვრებისკენ მობრუნებისა. ანბანი ჯერ კიდევ თითონ მეცნიერება არ არის, მაგრამ უანბანოდ სწავლა არ შეიძლება, და ვინც ანბანს ასწავლის მოყვასს, იგი აძლევს მას თვით მეცნიერებასთან მისვლის შეძლებას. მაშ წავიდეთ ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ჩვენისა, და ვიქადაგოთ: „მოახლებულ არს სასუფეველი ცათა; არის გზის მაჩვენებელი ძაფი, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლიან ცხოვრების სიბნელიდგან სინათლეზე გამოსვლა.“ ვასწავლოთ ჩვენ დაბნელებულ ძმებს ანბანი. ეს ჩვენ ყველას შეგვიძლია და საერთო ჩვენი მოვალეობაა

მღ. ი. ლუკიანოვი.

ᲥᲠᲘᲡᲢᲔ

(რუსულიდან-თავისუფლად)

არ შობილა სასახლეში
და არც მეფის გვარიდანა,
ის, ვინც ყველას გვცა ნუგეში,
სისხლით იხსნა ვინც ქვეყანა.
ღვთის ძე იშვა ხომ ბეთლემის
მეცხვარეთა ღარიბს ქოხში!
ამას მოწმობს უცხოეთის
მოგვთა მისვლა იქ იმ დროში!
ამას მოწმობს მათი ძღვენიც...
და ცის ძალთა სიხარული.
მით აღსრულდა განაჩენი,
მამა ღვთისგან ქადებული!..
მოქარგული ოქრო-სირმა
ტანზედ იმას არ ემოსა;
მოკლებული იყო სიყრმით
დროს-ტარებას საამოსა...
სიჭაბუკის მთელი ხანა
გაატარა მან შრომაში:
ეჩო, ცული, ხერხიც თანა
ხურო იოსების სახლში
იყო მისთვის ყველაფერი!..
სიზარმაცეს იგი ჰგმობდა!
და პატივი მიწიერი
მისთვის აღარ არსებობდა!!
არც ეჭირა ხელში ხმალი
აბჯარ-სხმული სარდლივითა,
მისი მაღალი მოძღვრება
იწყებოდა სულ სხვა გზითა...
ალერსით და ტკბილის სიტყვით
მიეგება იგი ხალხსა:
ქადაგებდა ძლიერებით
მხოლოდ ჭეშმარიტებასა!
ფარისეველ-მწიგნობრებსა
არ მოსწონდათ მისი სწავლა,
და ეს სწავლა ქვეყნის მხსნელსა
ჯვარზედ ასვლით აღეკრძალა!!
ხორც-შესხმულმა გვიანდერძა
ერთმანერთის სიყვარული,—
ტანჯვის ჯვარი მისებრ ჩვენცა,
ვზიდოთ მხარზედ გადებული!..

დ. კაკუ.

სახელმწიფო სათათბირო

18 მარტის სხდომა. პირველად რუსეთში საჯაროდ იხილავენ სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც დღემდის ბიუროკრატიულ დეპარტამენტების საიდუმლოებას შეადგენდა. ამის გამო 18 მარტის სხდომა ისტორიულია და ამით აიხსნება, რომ თავმჯდომარემ მიულოცა სათათბიროს ბიუჯეტის განხილვის დაწყება და სათათბიროც ტაშის ცემით მიეგება ხომიაკოვის მილოცვას.

პირველად სათათბიროს წარედგინა სახელმწიფო კონტროლის შემოსავალ-გასავალი. ს.-დ **პოკროვსკი** მოითხოვს საკითხის ჩამოხსნას, რადგან ს.-დემოკრატები პრინციპიალურად წინააღმდეგნი არიან ბიუჯეტის ნაწილ-ნაწილ განხილვისაო. **შინგარიოვი** (კ.-დ.), **კაპუსტინი** (ოქტ.), **სინადინო** (მემარჯვენე) თავიანთ ფრაქციების სახელით აცხადებენ, რომ, თუმცა ბიუჯეტის ერთიანად განხილვის მომხრენი არიან, მაგრამ წელს ეს წესი უნდა დაირღვეს, რადგან ისედაც დაგვიანდა და სახელმწიფო უბიუჯეტოდ ანორმალურს პირობებშიაო. **პოკროვსკი** აცხადებს, რომ ს.-დემოკრატები პრაქტიკულ მოსაზრების გულისათვის ვერ უღალატებენ პრინციპს, რომელსაც ყველა ფრაქციები სამართლიანად სთვლიან და ამიტომ წინააღმდეგნი არიან ბიუჯეტის ნაწილად განხილვისაო. **ბულატი** ტრუდოვიკების მხრით უერთდება ს.-დ. განცხადებას. სათათბირო ხმის უმეტესობით ადგენს, რომ ბიუჯეტი ნაწილ-ნაწილ იქმნას გარჩეულ-დამტკიცებულიო. ამის შემდეგ საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე განმარტავს, როგორ მუშაობდა კომისია, ხოლო მომხსენებელი **ლუჩიცკი** წარადგენს სახ. კონტროლის ბიუჯეტს. ამ უწყებისთვის ბიუჯეტის პროექტში გადადებულია: შემოსავალი—287.720 მან., გასავალი — 9.845.654 მან., აგრეთვე საგანგებო გასავალი—422.411 მანეთი. საბიუჯეტო კომისიას ვერ უცვნია შესაძლებლად ამ ხარჯთ-აღრიცხვის შემცირება ან მომატება და თხოულობს უცვლელად მის დამტკიცებას. ამასთანავე კომისია საჭიროდ სცნობს ამ უწყების რეორგანიზაციას მომავალში. სახ. კონტროლის დანიშნულებაა, თვალ-ყური ადევნოს, რომ მთავრობამ წესიერად და ბიუჯეტის მიხედვით ხარჯოს ფული. **რა**-კი ასეთი სარევიზიო და საკონტროლო ხასიათი

აქვს ამ უწყებას, იგი სამინისტროს უნდა გამოეყოს და დამოუკიდებელ დაწესებულებათ უნდა გადაიქცეს, რომელსაც მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს სათათბიროსთანაო. გარდა ამისა საჭიროა, რომ კონტროლი მარტო ფორმალურად-კი არ იხილავდეს სამინისტროებისა და უწყების ანგარიშებს, არამედ ფაქტიურ რევიზიას აწარმოებდეს და სათათბიროს სრულს დასაბუთებულს ანგარიშებს აძლევდესო. კამათი გამოიწვია კომისიის ამ აზრმა. მთავრობის მხრით სახელმწიფო კონტროლერი **ხარიტონოვი** წინააღმდეგია ამ უწყების გამოყოფისა დამოუკიდებელ დაწესებულებად, რადგან სახ. კონტროლი მარტო კონტროლის როლს-კი არ ასრულებს, არამედ ადმინისტრატიულსაცო და ამ მხრით მისი დამოუკიდებელი მოქმედება შეუძლებელიაო. **ციტოვიჩი** ზომიერ მემარჯვენეთა მხრით ეთანხმება მთავრობის წარმომადგენელს, რომ კონტროლის გამოყოფა საჭირო არაა, მაგრამ საჭიროდ სთვლის კომისიის დანარჩენ მოთხვნათ ამ უწყებაში რეფორმების შეტანის შესახებ. კ. დ. **შინგარიოვი** მხარს უჭერს კომისიის მთელ მოთხოვნას; კონტროლი პოლიტიკის გარეშე უნდა იდგას და დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს რევიზორის ფუნქციების ასრულებაო. **ვოეიკოვი** მემარჯვენეთა მხრით ეთანხმება მთავრობის აზრს. ს.-დ. **პოკროვსკი:** სახ. კანტროლი ხალხის ერთგული მსახური უნდა იყოს, უნდა იცავდეს ხალხის ინტერესებს და იმის შიში უნდა ჰქონდეს ყველას, ვინც ჰბედავს ხალხისაგან მოკრეფილ ფულების უბრალოდ გაფლანგვას. ამისათვის კი კონტროლი დამოუკიდებელი უნდა იყოს და მისი სრული რეორგანიზაცია აუცილებელიაო. **კაპუსტინი** ოქტომბრისტების მხრით აცხადებს, რომ ემხრობა კომისიის აზრს სახ. კონტროლის რეორგანიზაციის საჭიროების შესახებ. **როზანოვიც** ტრუდოვიკების მხრით ამასვე აცხადებს. საერთო განხილვა თავდება და სათათბირო მუხლა-მუხლად იხილავს სახ. კონტროლის ხარჯთ-აღრიცხვას, რომელსაც უცვლელად ამტკიცებს. ზომიერ მემარჯვენეთა შესწორება, რომ კონტროლის ცალკე გამოყოფა საჭირო არ არისო, სათათბირომ დიდის ხმის უმეტესობით უარჰყო. კონტროლის ხარჯთ აღრიცხვა დამტკიცებულ იქმნა ყველა ხმებით წინააღმდეგ ს.-დ. ფრაქციისა.

შემდეგ სათათბირომ განაგრძო საყოველთაო სწავლების პროექტის ერთის ნაწილის განხილვა (6.9000.000 მანეთის გადადების შესახებ).

ფრიდმანი (ებრაელი) აღნიშნავს, რა სიძნელე არსებობს ებრაელთა შორის პირველ-დაწყებით სწავლების გავრცელების საქმეში. **დმოვსკი** (პოლონ. კოლო) უპასუხებს ანრეპს: საერო განათლების საქმისთვის გადადებულ ფულიდან უდიდესი ნაწილი იხარჯება საერობო გუბერნიების საჭიროებისათვის, მაშასადამე პოლონეთს, სადაც ერობა არაა, ამ ფულიდან თითქმის არაფერი შეხვდება. თუ რამე შეხვდა, ისიც მოხმარდება ძველის წესის სკოლას, რომელსაც პოლონელთათვის ვნების მეტი არაფერი მოაქვს. ამიტომ პოლონელთა კოლო ვერ კისრულობს პასუხის გებას და მხარს ვერ დაუჭერს მთავრობის მოთხოვნას. მაგრამ კოლო ამასთანავე დარწმუნებულია, რომ ფულის გადადება საჭიროა თვით შიდა-რუსეთისათვის, რუსის ხალხისათვის და ამიტომ იგი წინააღმდეგობას ვერ გაუწევს მთავრობის პროექტს. ასეთია პოლონელთა პოზიცია ამ საკითხში და ეს პოზიცია გვიკარნახებს ერთად-ერთ ტაქტიკას: სრულებით მონაწილეობა არ მივიღოთ ამ საკითხის შესახებ კენჭის ყრაში. ს.-დ. **ჩხეიძე** დარწმუნებულია, რომ რუსული ენა რუსეთის სახელმწიფოში საჭიროა, როგორც ჰაერი. მამა მისიც-კი ეუბნებოდა თურმე: „თუ გინდა კაცი გახდე, რუსული ისწავლეო“ (სიცილი). მაგრამ რუსული ენის სწავლება არა-რუსთა სკოლებში ცუდათ არის დაყენებული: ეგრედ წოდებული მუნჯური მეთოდი მხოლოდ აძულებს არა-რუსთ სკოლას და მშობლიურ ენასაც ავიწყებინებს. **თავ. ვოლკონსკი (ოქტ.)** აცხადებს, რომ რუსეთს არ აუსრულებია თავისი მოვალეობა პოლონელთა წინაშე: როცა პოლონეთში ერობა და წესდება, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მოვალეობა ასრულებულია და მაშინ სკოლაც რიგიანი ეღირსება პოლონელთ. გამორიცხვის შემდეგ **პურიშკევიჩი** პირველად გამოდის ტრიბუნაზე და მაშინვე სკანდალს იწვევს. ლაპარაკობს იმ თემაზე, რომ ყველა **„ინოროდცები“** არ არიან **ღირსნი** სათათბიროს მზრუნველობისა. რევოლიუციის დროს ბალტიის მხრის გერმანელებმა ლოიალობა გამოიჩინეს და მათთვის ეროვნულ სკოლას ვერ დავიშურებთო. შემდეგ ორატორს სურდა პოლონელებზე **ლაპარაკი**, მაგრამ თავმჯდომარემ **გაახსენა**—

დანიშნული 10 წუთი გა ავდაო. პურიშკევიჩი თავისას არ იშლის და განაგრძობს ლაპარაკს. მაშინ თავმჯდომარე მიჰმართავს სათათბიროს და ეკითხება — ჰსურს თუ არა მას დანიშნულ ვადაზე მეტი ალაპარაკოს პურიშკევიჩს. სათათბირო უარს ამბობს. პურიშკევიჩი ტრიბუნიდან ჩამოდის, მაგრამ მემარჯვენეთა ფრაქციას გადაუგდებს რაღაც ნუსხას, სადაც პოლონელ მეფეების გენეალოგიაა აღნიშნული და ყვირის: სანამ ასეთი ნუსხები იქნება გამოკიდებული პოლონურ სკოლებში, მას, ასეთ სკოლას, ადგილი არ უნდა ჰქონდეს რუსეთის სახელმწიფოშიო. თავმჯდომარე კიდევ შენიშვნას აძლევს თავაშვებულ დეპუტატს დანარჩენ ორატორთაგან აღვნიშნავთ **მეიენდორფს** (ოქტ). იგი უპასუხებს პურიშკევიჩს, რომ შეუძლებელია სწავლა განათლების საკითხში ვიხელმძღვანელოთ ამა თუ იმ „ინოროდცების" პოლიტიკურ კეთილსაიმედოებით; მით უმეტეს, რომ ამაზე შეხედულება ხშირად იცვლება ხოლმე: რამდენისამე წლის წინად, მაგალითად, იგივე გერმანელები, რომელთაც დღეს აქ პოლიტიკურ კეთილსაიმედოების ატესტატი მისცეს, მოღალატეებად იქმნენ აღიარებულნი; დედა ენას, თავის-თავად და პოლიტიკის დამოუკიდებლად, აქვს ფასი და სახელმწიფო, რომელიც ქრისტიანულ საფუძვლებზეა დამყარებული, ამ ფასს პატივს უნდა სცემდეს (ტაშის ცემა). სათათბირო ათავებს პროექტის ერთიანად განხილვას, იწონებს მას და იწყებს დაწვრილებით განხილვას.

22 მარტის სხდომაზედ სათათბირო განაგრძობს ბიუჯეტის განხილვას. მორიგი საქმეა—სინოდის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. მომხსენებელი **კოვალენსკი** განმარტავს, რომ 1908 წლისთვის ნავარაუდევია სინოდის გასავალი 29. 739. 152 მანეთი. კომისია თანახმაა, რომ ეს კრედიტი გადაიდოს, თან იმ აზრისაა, რომ ამ უწყების საფინანსო მეურნეობა ძირიანად უნდა გადაკეთდესო; სახელდობრ: უნდა მოისპოს ის წესი, რომლის ძალით, დღემდე, რაც სინოდს გადარჩება კრედიტიდან, მისვე განკარგულებაში რჩება, მაშინ როდესაც ყველა სხვა უწყებამ თავისი ეკონომია ხაზინას უნდა ჩააბაროს ხოლმე; უნდა მოეთხოვოს სინოდს სრული ანგარიშები მის „სპეციალურ თანხების" (აქამდე სინოდი არავის ანგარიშს არ აძლევდა, თუ რა სპეციალური თანხები აქვს და როგორ იხარჯება ისინი); უნდა მოისპოს სინოდის საკუთარი კონტროლი და მის მეურნეობის კონტროლის საქმე ჩაებაროს სახელმწიფო კონტროლს; სასურველია აგრეთვე, რომ ადგილობრივ საეკკლესიო შემოსავალი ადგილობრივ საჭიროებას ხმარდებოდეს და არ გადაიდოს სინოდის განკარგულებაში. მომხსენებელს უპასუხებს **ობერპროკურორი** სინოდისა. სპეციალური თანხები ეკკლესიის საკუთრებაა და სრულს მის განკარგულებაში უნდა იყოს. რუსეთში ლოთრანგთაც, კათოლიკეთაც, **სომეხ-გრიგორიანცებსაც** და ყველა არა მართლმადიდებელ ეკკლესიას აქვს საკუთარი ქონება და თანხები, სახელმწიფო მათზე თავის უფლებას არავრცელებს და აქ კი ამბობენ, მართლმადიდებელ ეკკლესიას უნდა წაერთვას საკუთარი ქონების და თანხების განკარგულების უფლებაო. დანარჩენ ცვლილებათა წინააღმდეგი თითქმის არც ობერ-პროკურორია. **როძიანკო** ოქტომბრისტების მხრით ეთანხმება ობერ-პროკურორს და იმ აზრს იცავს, რომ ეკკლესია კი არ უნდა გავაბიუროკრატოთ სახელმწიფოსთვის მის დამორჩილებით, არამედ ხელი უნდა შევუწყოთ მის მეტ დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგანაო. ამიტომ სასურველი არაა არც მის საკუთარ კონტროლის მოსპობა, არც მის ქონებისა და სპეციალურ თანხების საქმეში გარევაო. **დიმშა** (პოლონელი) აცხადებს: პოლონელნი დარწმუნებულნი არიან, რომ სინოდისთვის საჭიროა კრედიტი, მაგრამ საქმე ისაა, როგორ იხარჯება გადადებული ფული; 17 აპრილს უმაღლესად გამოცხადდა სარწმუნოების თავისუფლება და ამით ეკკლესიის საქმე განცალკევებულ იქმნა პოლიტიკისაგან; მაგრამ ამას რომ ვერ ვხედავთ ჯერ? შეხედეთ, მაგალითად, როგორ არის განაწილებული ბიუჯეტში ხარჯები: ხოლმის ეპარქიაში, სადაც მართლმადიდებელთა ერთ ეკლესიაზე ძლივს 1000 კაცი მოდის, ერთ ეკკლესიის საჭიროებაზე 1674 მანათია გადადებული; შიდა-რუსეთში კი, სადაც ერთ ეკკლესიაზე 10 ათასი მცხოვრები მოდის, 400 მანეთზე ნაკლებია გადადებული. აქედანაც სჩანს, რომ სინოდს განაპირა ქვეყანაში პოლიტიკური საგანი უფრო აინტერესებს, ვიდრე საეკკლესიო. სკოლებშიაც სინოდი პოლიტიკით ხელმძღვანელობს. ამნაირად, ჩვენთვის, პოლონელთათვის, ცხადია, რომ სინოდის მოღვაწეობა პოლონეთში მივნებელია ხალხისათვის და ამიტომ ჩვენ წინააღმდეგი ვიქნე-

ბოდით იმ კრედიტის გადადებისა, რომელიც საკუთრივ პოლონეთში დასჭირდება სინოდს; მაგრამ, რადგან ბიუჯეტში არაა აღნიშნული ამ საკუთრივ კრედიტის რაოდენობა, პოლონელთა კოლომ გადაწყვიტა სრულებით არ მიიღოს მონაწილეობა ამ საკითხის გამო კენჭის ყრაში. **ბელოუსოვი** (ს. დ.) დაწვრილებით არჩევს სინოდის სმეტას და აღნიშნავს, რომ ეკლესიის მსახურნი ჩვეულებრივ მოხელეებათ გადაიქცნენ და მთავრობა ტყუილად ფლანგავს ხალხის ფულს მათზეო. სარწმუნოება ყოველ ადამიანის კერძო საქმეა და, ს.-დ. აზრით, ეკლესია სულ უნდა იქმნას განშორებული სახელმწიფოსგან, სკოლაც — ეკლესიისაგანაო; ამიტომ ფრაქცია წინააღმდეგია სინოდისათვის კრედიტის გადადებისაო. **კარაულოვი** კადეტების მხრით უერთდება საბიუჯეტო კომისიის მოთხოვნათ; თან აღნიშნავს, რომ რუსეთის ეკლესია სრულებით დაიმორჩილა სახელმწიფომ; ეს უნდა მოისპოს და ავტონომიური ეკლესია უნდა გადემოკრატდესო. მცირე კამათის შემდეგ სათათბირო შეუდგა კენჭის ყრას. ხმის უმეტესობით სინოდის ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდა და აგრეთვე მიღებულ იქმნა საბიუჯეტო კომისიის ფორმულა სასურველ რეფორმების შესახებ სინოდის მეურნეობაში; ფორმულა შეცვლილ იქმნა თანახმად ოქტომბრისტების შესწორებისა. „ამირანი“

ახალი ამბები და შენიშვნები.

✦ *ნამესტნიკის იუბილეი.* 25 მარტს ტფილისში დიდის ამბით იდღესწაულეს კავკასიის გრაფის ი. ი. ვარანცოვ-დაშკოვის სამხედრო სამსახურის 50 წლის იუბილეი. გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი დაიბადა 1837 წელს, ასე რომ ამ ჟამად 71 წლისაა. გიმნაზიის დასრულების შემდეგ შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, მაგრამ კურსი არ დაუსრულებია და ამ 50 წლის წინად სამხედრო სამსახური დაიწყო ლეიბ-გვარდიის ცხენოსანთა პოლკში. მონაწილეობას იღებდა კავკასიის მთიულთა დაპყრობაში, თურქესტანის წინააღმდეგ გალაშქრებაში და რუსეთ-ოსმალეთის ომში. ალექსანდრე მესამის გამეფებისას (1881 წ.) დაინიშნა სასახლის მინისტრად და ამ თანამდებობაში დაჰყო 1896 წლამდე. 10 წლის შემდეგ-კი, 1906 წელს, დაინიშნა კავკასიის ნამესტნიკად. მე-80 წლებში გრ. ვორონცოვ-დაშკოვი მწერლობაშიაც იღებდა მონაწილეობას. სხვათა შორის, ერობის მოსარჩლედ გამოვიდა და საჭიროდ სთვლიდა მის უფლებათა გაფართოვებას; აგრეთვე მომხრე იყო სოფლის დაწესებულებათა წოდებრივობის მოსპობისა სწერდა აგრეთვე გლეხთა მდგომარეობაზე: საჭიროდ სთვლიდა სანადელო გამოსასყიდ გადასახადების შემცირებას, სახაზინო მამულების იჯარის გაადვილებას გლეხთათვის და მათის მიწადმფლობელობის გაფართოვებას სახ. ბანკის დახმარებით. ნამესტნიკად დანიშვნის დროს გამოაქვეყნა პროგრამა, სადაც აღიარა ერობის შემოღების და გლეხთა მიწადმფლობელობის მოწესრიგების საჭიროება, ადგილობრივ ენებზე სწავლების უფლების გაფართოვების აუცილებლობა, სომეხთათვის წართმეულ საეკლესიო მამულების დაბრუნების საჭიროება და ზოგი სხვა რეფორმა. აქედან დღემდე განხორციელებული იქმნა სომეხთა ეკლესიის მამულების დაბრუნების საქმე.

✦ *სასულიერო კონცერტი* ქართული ფილარმონიული საზოგადოება 3 აპრილს მართავს საინტერესო სასულიერო კონცერტს. საზოგადოების ხორო ბ-ნ ზ. ფალიაშვილის ლოტბარობით შეასრულებს საეკლესიო ხმებს, ოთხ ხმაზე დაწერილს (ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის) ზ. ფალიაშვილის მიერვე. კონცერტი გაიმართება „ტფ სობრანიეს“ დარბაზში. კონცერტამდე ბ-ნი მონადირაშვილი წაიკითხავს საქართველოს საეკლესიო გალობის მოკლე ისტორიას.

✦ *გრიგოლ ორბელიანი.* 21 მარტს, შესრულდა 25 წელიწადი, რაც ქართველი პოეტი გრიგოლ დიმიტრისძე ორბელიანი გარდაიცვალა. განსვენებული დაიბადა 1800 წელს, ასე რომ 83 წლისა გარდაიცვალა. სიყმაწვილეში მონაწილეობა მიიღო იმ ახალგაზრდა თავად-აზნაურთა ჯგუფში, რომელსაც მე-30 წლებში აჯანყების მოხდენა უნდოდა საქართველოში, რისთვისაც ჩრდილოეთ რუსეთში გადაასახლეს. შემდეგ სამხედრო სამსახურში შევიდა და მაღალ ხარისხამდე დაწინაურდა: იყო სახელმწიფო საბჭოს წევრად, ასრულებდა კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობას, იყო უფროსი კავკასიის სამხედრო ოლქისა და სხვა. მისმა სიკვდილმა დიდი მგლოვიარობა გამოიწვია მთელ საქართველოში

და მხცოვანი პოეტი დიდის ამბით იქმნა დასაფლავებული ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. მის სულის მოსახსენებლად, ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობის თაოსნობით, კვირას, 23 მარტს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, განსვენებულის საფლავზე გადაიხადეს პანაშვიდი, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო.

სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ცირკულიარი. კავ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ცირკულიარი გამოსცა, რომლითაც დაავალა გიმნაზიის დირექტორებს და სხვა სასწავლებლის უფროსებს, თვალყური ადევნონ, რომ მოსწავლეებს არა ჰქონდეთ რაიმე იარაღი. სხვათა შორის, მათ ჩამოართვან მოსწავლეთა მშობლებს ხელწერილები, რომ მათ შვილებს არავითარი იარაღი არ ექნებათ.

დეპეშების გზავნა სხვა ენებზე. აქამდე რუსეთში ადგილობრივ მცხოვრებთა ენებზე დეპეშების გზავნა აკრძალული იყო. ეხლა, როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომლის ძალითაც მსურველთ შეუძლიანთ სხვა ენებზედაც (რუსეთში მცხოვრებთა ენებზე) ჰგზავნონ დეპეშები (რუსულის ასოებით). ფასი ცოტა მეტია. ასეთის დეპეშის გამგზავნმა მოთხოვნისთანავე უნდა წარუდგინოს დეპეშის თარგმანი.

სიკვდილით სასჯელი. სამხედრო სასამართლომ ქუთაისში გაარჩია საქმე არონიშიძის, გალოგრეს და ფირცხალავასი. ამათ ჰბრალდებოდათ სტრაჟნიკების ურიადნიკის მგელაძის მოკლვა. სასამართლომ მიუსაჯა: პირველ ორს ჩამოხრჩობა, ხოლო უკანასკნელს უვადო კატორგა.



ლოცვა წმ. მამისა ეფრემ ასურელისა

ხოლო სული სიწმიდისა,
სიმდაბლისა და მოთმინებისა
მომმადლე მონასა შენსა.

სული სიწმიდისა არის ღვთის მადლი, რომელიც ადამიანის ზნეობას იფარავს ცოდვათაგან. ეს მადლი ანიჭებს კაცის გონებას ცხოვრების სიბრძნეს, სულიერ მხედველობას, რომლის საშუალებითაც ადამიანი ყურს უგდებს, შეისწავლის, სცნობს, თუ როგორ მიდრეკილია მისი ბუნება ყოველგვარ ცოდვისკენ და უცხადებს ამ მიდრეკილებას ჯეროვან ბრძოლას. ამ ბრძოლისათვის იგი იწვევს თანაშემწედ კეთილ გონიერებასა და სვინდისის სიფხიზლ ეს. მათის შემწეობით ადამიანი იგერებს ბოროტ გულის-თქმათა, როგორც ცოდვათა მიზეზს. მართალია, დაცემული ადამიანის ბუნებისთვის საძნელოა მცირე ცოდვათაგან სრულიად განთავისუფლება, რომელნიც არიან ჰაზრობითი, სიტყვითი და უნებლიეთი ცოდვანი: იგინი დასრულდებიან სიკვდილის სარეცელზე. ხოლო ჩაფლობა ადამიანისა დიდთა, მომაკვდინებელ ცოდვათა წუმპეში, წარმოსდგება ადამიანის შეუგნებლობისაგან, რომლის გამოც იგი უგნურად ემონება ბოროტს უწმინდურების სულსა. მცირე ცოდვათა მარტო სიტყვით შენანებაც საკმარისი არ არის. მათ მოსანანებლად ქრისტიანესგან მოითხოვება მოღვაწეობა ლოცვითა, მარხვითა, მუხლ-მოდრეკითა, გულის-შემუსრვითა და საზოგადოდ კეთილ-მოქმედებითა. ხოლო ვინ არ იცის ჩვენგანმა, თუ რამდენად საძნელოა ესე ყოველივე ჩვენი სუსტი ბუნებისათვის? ვინ არა სცდის ამას? ვინ არ აცხადებს ამ სისუსტესა, მაგ. ეკლესიაში იშვიათად სიარულით, იშვიათად საიმდულო ზიარების მიღებით? თუ მცირე ცოდვილს ასე ეძნელება სინანულის ნაყოფის შეწირვა, ცხადია დიდი ცოდვილისთვის უფრო საძნელოა იგი, რადგანაც მისგან მოითხოვება უფრო მეტი და ხანგრძლივი ღვაწლი სინანულისა. სხვათა შორის, ამ მიზეზის გამოც ქრისტიანე უნდა ერიდებოდეს დიდთა მომაკვდინებელ ცოდვათა. ხოლო უკეთუ, საუბედუროდ იგი ჩავარდება რომელთამე მათში, მაშინ არ უნდა დაჰკარგოს მან სარწმუნოება და სასო არ უნდა წარიკვეთოს, პირიქით იგი მოვალეა, რომ მიიღოს სინანულის მოღვაწეობა: მრავალმოწყალე ღმერთი მიიღებს სინანულის ოხრვასა, ცრემლსა და გულის-შემუსრვასა და აპატიებს ადამიანს ყოველ ცოდვას, გარდა ურწმუნოებისა და სასოწარკვეთილების ცოდვათა, რადგანაც ამით იგმობა სული წმიდა, ქვეყნიერი და ზეციერი ცხოვრების მომნიჭებელი. ასე უნდა იწმინდებოდეს ქვეყნიერ ცხოვრებაში ღვთის მადლით ქრისტიანეს ბუნება, მცირედ თუ დიდათ ცოდვილი, ზენაარი მიზნის მისაღწევად—მისაღებად

ნეტარი უკვდავებისა. ფრიად დიდი სანუგეშოა ჯვარცმული ავაზაკის მაგალითი ცოდვილისათვის: აქ გამოეცხადა ცოდვილ ადამიანის ბუნებას სიყვარული და მოწყალება ღვთისა. მაგრამ როდის? —მაშინ, როდესაც ამ ბუნებამ მიიღო ცოდვათათვის სამაგიერო ჯვარცმითი ტანჯვისა და მის სიმწარეში გამოუცხადა მაცხოვარსა სარწმუნოება შედარებით რა მცირეა ღვაწლი ჩვენი ლოცვისა, მარხვისა, მუხლთმოდრეკისა და სხვ., რომლის მიღებაც ჩვენ გვეზარება!... აქ, თუ, ერთის მხრივ გვანუგეშებს ჩვენ სიყვარული და მოწყალება ღვთისა, მეორეს მხრივ მაგალითი ავაზაკისა გვასწავლის იმ ჭეშმარიტებას,რომ ცოდვილმა ქრისტიანემ უბედურებაშიდაც არ უნდა დაჰკარგოს სარწმუნოება და სასოება, უნდა იცავდეს მათ მტკიცედ, როგორც ცხოვრების უძვირფასეს საუნჯეს.

სული სიმდაბლისა არის მშვენიერი სამკაული ადამიანის ბუნებისა. დიდი სიმდაბლის სულით იყო შემკული ქალწული მარიამი, მაშინ როდესაც იგი იყო ყვავილი გარეგანი და შინაგანი მშვენიერებისა. ზეციერმა სიმდაბლემ გარდამოხედა ამ ქვეყნიერ სიმდაბლეს. ამ გზით გამოცხადდა საიდუმლო მაცხოვარებისა: უზენაესმა სულმა, ღვთის ძემ მიიღო მშვიდ ქალწულ მარიამისაგან განხორციელება და განკაცება. ასე მაცხოვარების საიდუმლო დაფუძნებულია სიმდაბლის სულზე, ამიტომ, თვინიერ ამ სულისა შეუძლებელია ადამიანის ცხონებაც. მას მხოლოდ სიმდაბლის სულით შეუძლიან იგრძნოს თვის ბუნების სიგლახაკე, მაცხოვარების საჭიროება და შეიქმნეს მორწმუნე ქრისტიანედ. ასე უსაჭირო ესია ადამიანისათვის სული სიმდაბლისა, რომლის მაგალითსაც გვიჩვენებენ თვით ქრისტე —მაცხოვა რი და მშობელი მისი, ქალწული მარიამი. „წყნარი და მშვიდი ვარ მე გულითა," აღიარა ქრისტემ. „ადიდებს სული ჩემი უფალსა, და განიხარა სულმან ჩემმან ღვთისა მიმართ მაცხოვარისა ჩემისა. რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თვისისასა"..., ასე უგალობა ღვთისმშობელმა ღმერთსამაცხოვარსა. სიმდაბლის სულით მოღვაწეობდნენ ქვეყანაზე, მის ძალით იმყოფებოდნენ სარწმუნოე ბაში და კეთილმსახურებაში ყოველნი წმიდანნი: მოციქულნი, მამანი და დედანი. ამავე სულით უნდა იყვეს მოსილი ყოველი ქრისტიანეც.—წინაღმდეგი სული ამპარტავნებისა, როგორც სული წარწყმენდისა, არ შეშვენის ადამიანის ბუნებას, ცოდვისგან დამცირებულსა და შერცხვენილსა. ამ დამცირებისა და შერცხვენის დაღს ვერ ახსნის ადამიანისგან ვერც ოქრო, ვერც ვერცხლი, ვერც სწავლა, ვერც მეცნიერება, ვერც ქვეყნიური რომელიმე ძალა, გარდა ზეციური ძალისა, რომელიც არის მადლი ქრისტე-მაცხოვრისა. ამ მადლს უნდა ესწრაფოდნენ სიმდაბლის სულითა ყოველნი ქრისტიანენი: უფროსი თუ უნცროსი, მოხუცი თუ ჭაბუკი, მამაკაცი თუ დედა-კაცი. გზა სიმდაბლისა არის გზა ქვეყნიური მშვიდობისა და ზეციური ნეტარებისა, ამიტომ ყოველი ქრისტიანე უნდა ერიდოს ამპარტავნების ბოროტ სულსა, რომელიც იხატება ადამიანში გონების რეტიანობითა, მის სავნებლად ყოველგან და ყოვლისათვის: რეტიანი გონება, მოკლებულია საღ მსჯელობის ნიჭსა შესახებ ცხოვრების უაღრესთა საგანთა, რომელნიც არიან ადამიანის ბუნებისათვის, და უნდა იყვნენ პირველად ქრისტიანობრივი სარწმუნოება და მისთანხმადი კეთილზნეობა.

სული მოთმინებისა არის მაცხოვარების სული ადამიანის ცოდვილი ბუნებისთვის, წინააღმდეგი მოუთმენელობის ბოროტი სულისა. მოუთმენელობამ დააკარგვინა ადამიანს სამოთხე. ხოლო იმ დიდმა მოთმინებამ, რომელიც გამოაცხადა ქრისტემაცხოვარმა, დღიდგან ქვეყანაზე შობისა, ვიდრე ჯვარზე სიკვდილამდე, გაუხსნა ადამიანს სამოთხის გზა. ამიტომ გვიანდერძებს იგი: „მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სულნი თქვენნი". — მოთმინების გზა არის საცხონებელი ქრისტიანესთვის, ხოლო მოუთმენელობა მრავალ-მხრივ ავნებს და ღუპავს მას. მოუთმენელობა ჰბადავს უსიამოვნებას მეუღლეობაში, მეგობრობაში, ამხანაგობაში, მშობელთა და შვილთა, უფროსთა და უმცროსთა შორის. მოუთმენელობა, როგორც განუსჯელობის ნაყოფი, აყენებს ადამიანს მომაკვდინებელ ცოდვაზე. იგი არყევს ადამიანში სარწმუნოებასა და სასოებას, იგი აბრკოლებს ადამიანს სინანულშიაც. ამ ბოროტი სულის განდევნა შეიძლება მხოლოდ მოთმინების სულის მახვილითა. ბედნიერია ამ სულიერი მახვილის მპყრობელი მარჯვენა. უბედურია მარჯვენა, მოუთმენელობის მახვილით გასისხლიანებული, გამომწვეველი მწარე ცრემლთა და გოდებათა!... ნუ თუ ეს შეშვენის ქრისტიანეს, მაცხოვარის სიყვარულით დაგვირგვინებულს?!...

სული სიყვარულისა არის ქრისტეს სული, ხოლო სიძულვილისა არის ეშმაკისა. სიყვარულის სულმა შეიბრალა ცოდვილი კაცი და მოანიჭა მას მადლი მაცხოვარებისა. განხორციელებულმა და განკაცებულმა ღმერთმა კეთილ ინება და იცხოვრა ქვეყანაზე, კაცთა შორის, სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულის სულითა. ამ სულმა თუმცა იგემა ჯვარცმით სიკვდილის სიმწარე, მაგრამ მით მისი სიყვარული არა თუ არ შემცირდა, არამედ უზომოდ გაძლიერდა იგი და შეიქნა საუკუნოდ დაუსრულებული და მომქმედი; მათ სანუგეშოდ და საბედნიეროდ ვინც თვითნებობით არა შორდება ამ სიყვარულსა. ქრისტე იყო, არის და იქნება ღმერთი კაცთ-მოყვარე. მისგან ენიჭება ქრისტიანეს სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა. ამ სულით სცხოვრებდნენ, და სცხოვრებენ ქვეყანაზე ყოველნი შეგნებულნი გვამნი. ეს სული ფრიად სატრფიალოა ქრისტიანესთვის. ხოლო ბოროტი სული სიძულვილისა მისთვის უნდა იყვეს საზიზღარი: იგი აყენებს კაცს ბიწიერების გზაზე, უმწარებს მას ქვეყნიურ ცხოვრებას და საუკუნოდაც აუბედურებს. სიყვარულზე გვითითებს ჯვრიდგან მაცხოვარი, უნდა ღრმად შევიგნოთ ესა და გავასწოროთ ჩვენი უკუღმართი ცხოვრება...

> ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე
> მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა
> განკითხვა ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ საუკუნეთა უკუნისამდე,
> ამინ.

განცდა თვისთა ცოდვათა არის შეგნება საკუთარ ცოდვათა. ესე შეგნება და ხილვა აქვს მხოლოდ სულიერად მცხოვრებელ ქრისტიანესა ადამიანის გონება, გული და ნება მოქმედებენ სიმართლით მხოლოდ სულიერ ცხოვრებაში: მხოლოდ აქა სცნობს გონება ზეცით მონიჭებულ მაცხოვარებასა, სცნობს ადამიანის ზნეობით დაცემასა და აღდგენის საჭიროებას. ამ გზით გონება შედის სარწმუნოების ნათელში, სადაც იგი ხედავს ცხოვრების სინამდვილესა და ჭეშმარიტებას; გული უცხადებს ამ ჭეშმარიტებას მხურვალე სიყვარულს. ხოლო ნება ემორჩილება ყოველსა მას, რასაც თხოულობს სიწმინდე ცხოვრებისა. ადამიანის ბუნებაში ხორციელმა ცხოვრებამ არ უნდა დაიმონოს სულიერი ცხოვრება სარწმუნოების დაკარგვის ზომამდე. სულიერი და ხორციელი ცხოვრება ადამიანის ბუნებაში უნდა იყვნენ ურთიერთის თანაშემწენი, როგორც სული და სხეული თანაშემწეობენ. სულიერად მცხოვრები ადამიანი, მხილველი თვისთა ცოდვათა, არა თუ არ დაჰკარგავს სარწმუნოებას, არამედ აღამაღლებს და დაამკვიდრებს მას თვის არსებაში, როგორც ცხოვრების მნათობს, უზენაესი მიზნისადმი წინამძღოლსა.

განკიცხვა ძმისა, ე. ი. ძრახვა მის ცოდვათა წარმოსდგება საკუთარ ცოდვათა შეუგნებლობისაგან, ადამიანის განუსჯელობისაგან. სამართლიანი სჯა ყოველ ადამიანს წინ უდგენს მის ბუნების ცოდვილ მდგომარეობას. დღეს სხვის მძრახველი ან მისთანავე ცოდვილია, ან ხვალვე შეიძლება დაემსგავსოს მას. ყოველი ადამიანი ცოდვაში იბადება, სცხოვრებს და კვდება. ამ ჭეშმარიტებას ვერ უარჰყოფს თვით კაცობრიობის საზოგადო გონება: ასე საგოდებელია დაცემული ბუნება ადამიანისა. აი ამის შესახებ ადამიანმა უნდა იქონიოს ღრმად შეგნებითი სჯა, ამ სჯამ უნდა შეაგნებიოს კაცს ჭეშმარიტება და საჭიროება ქრისტეს სარწმუნოებისა და მის თანხმადი ცხოვრებისა. ამ სჯამ უნდა გამოიკვლიოს ღონისძიებანი ადამიანის ზნეობის ასამაღლებლად, უნდა უჩვენოს, გააგებინოს მას, როგორ ღრმად არის იგი ჩაფლული ბიწიერებაში, რომელიც ამწარებს ცხოვრებას. რამდენიმე კერძო პირთა მოღვაწეობა ამ დიდ საქმეში საკმარისი არ არის. ამისთვის საჭიროა ღრმად შეგნებითი მოღვაწეობა საზოგადოების უმეტესობისა. საჭიროა ეს მეტადრე ეხლა, როდესაც თანამედროვე სიტყვამწერლობა საკუთარ თვალში ვერა ხედავს ძელსა, ხოლო სხვის თვალში უთითებს ჩხირზედ, ძალდატანებით სცდილობს მის გამოღებასა და დამტვრევას, ხოლო თვის ძელის შეხებას, მის შერყევას ფრიად ერიდება თვითონაც და სხვასაც ამის ნებას არ აძლევს.

ვინ არ იცის, ვინ არა ხედავს იმ ძრახვა-გაკიცხვის სურათს, რომელსაც ესოდენ გულს-მოდგინედ წინ გვიდგენს თანამედროვე სიტყვა-მწერლობა. ამ სურათში მეტად ბევრი შავი ფერადი არის ნახმარი დასამცირებელად ჩვენი სამღვდელოებისა, ეკკლესიისა და მასთან ქრისტიანობისა. ხე ნაყოფისაგან იცნობა. ღირსეულ პირთაგან მითითება ნაკლზედ იმ მიზნით, რომ ეს ნაკლი მოიშოროს

ადამიანმა, მისაღები და სასარგებლოა. მაგრამ მიზანი ხსენებული სურათისა სხვა არის, მისი შინაარსი მეტად მზაკვრულია: აბუჩნი, კაცთა მეგობარნი ამით სცდილობენ შეაძულონ კაცსა ყოველი ისა, რაც არის მისთვის ძვირფასი, საყვარელი, სასიხარულო, სანუგეშო და პატივსაცემელი. ესენი ართმევენ საწყალ კაცს ამისთანა საუნჯესა, მის ნაცვლად სხვას არასფერს არ აძლევენ, ხოლო იმავე დროს ისმის მათი ძახილი: „განათლება, განათლება უნდა ერსა."—ჩვენც თანახმანი ვართ, რომ უეჭველად უნდა. მაგრამ ჩვენთვის სრულიად მიუხდომელი რჩება, რამ უნდა გაანათლოს ცოდვისგან დაბნელებული ბუნება ადამიანისა, რამ უნდა აამაღლოს მისი ზნეობა, თუ იგი შეიძულებს ქრისტეს ეკკლესიასა და სარწმუნოებას, რომელსაც თხოულობს ეს უბედური ბუნება, და რომლის უმჯობესიც არა რომელი სარწმუნოება არ არის ქვეყანაზე?!.. შემდეგ ამისა ადამიანს ხომ რჩება მარტო გზა წარმართ-ულვთოობისა, რომელიც არის გონების სიბნელე და არა მისი განათლება.

ქრისტეს ეკლესია არის ღვთის მადლის სავანე. იგი არის სულიერი ხე. მის შტოებს შეადგენენ საზოგადოდ ქრისტიანენი—სამღვდელოება და ერი. ნივთიერ ხესა ზოგი შტო უხმება, შორდება მას. მაგიერად იზრდებიან ახალნი შტონი. იმის გამო, რომ ხეს უხმება ზოგი შტო, მას პატრონი არ იმეტებს, როგორც უვარგისსა, არა სჭრის, არა სწვავს ცეცხლში, არამედ უვლის და უბრთხილდება, როგორც საჭირო ქონებას. ცოდვა არის ქრისტიანეთა სულიერი სიხმელე, სნეულება. ქრისტეს ეკკლესიაში მცირე ცოდვანი, რომელთაც გამოიწვევს ადამიანის ბუნებრივი უძლურება, რომელთაც ერთგვარად ექვემდებარებიან მღვდელი თუ ერი, საშიშნი არ არიან. მღვდელიცა და ერიც, ვიდრე იგინი მორწმუნენი არიან, ცოდვათაგან იკურნებიან სინანულის საშუალებით, კაცთმოყვარე ქრისტეს მადლით. ერთისა და მეორესთვისაც საშიშნი არიან სარწმუნოების დაკარგვა, მომაკვდინებელნი ცოდვანი, მათში შეუგნებელი მდგომარეობა, მოუნანიებლად სიკერპეში სიკვდილი...

სამღვდელოება მოვალეა, რომ სიტყვით და საქმით, ასწავლოს ერს ქრისტიანობის სარწმუნოებისა და კეთილ-ზნეობის ჭეშმარიტებანი, — მოვალეა აძოვოს ქრისტეს ცხოვარნი და კრავნი მის მადლის სულიერ ყანაზე,—მოვალეა თვითონაც მოიპოვოს და ყველას ჩაბეროს სული თვის-ცნობისა, თვის-მხილებისა, თვის გამ:რთვისა, საზოგადოდ— მიანიჭოს სული უმაღლესი თვით-შეგნებისა. ეს მართალია. მაგრამ ისიც, ხომ, მართალია, რომ ერმაც უნდა შეისმინოს სწავლა-მოძღვრება სამღვდელოებისა, თანაუგრძნოს, თანაშეეწიოს და გამოაცხადოს ეს საქმით, მით ანუგეშოს და გაამხნეოს იგი. მღვდელთა და ერთა შორის მაცხოვარების საქმე უნდა სრულდებოდეს ურთიერთის თანაშემწეობით, ამას მოითხოვს კეთილგონიერება და ქრისტიანული სიყვარული, რომელნიც უნდა ცხადდებოდნენ მეტადრე ამ დიდ საქმეში. აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს, არც ერთ მხარეში, სულსა ეჭვისასა, შეურაცხებისასა, წინააღმდეგობისასა. აქ უნდა სუფევდეს იმ ჭეშმარიტების შეგნება, რომ ყოველი ქრისტიანე პირად უნდა იყვეს მორწმუნე და კეთილ-მსახური: ვერც მღვდლის სიწმიდე აცხოვნებს ერის-კაცსა, ვერც ერის-კაცის სიწმინდე მღვდელსა.

უკეთუ მღვდელი სცოდავს, როდესაც თვის მოვალეობას უცხადებს დაუდევრობას და ზარმაცობას, ნუ თუ ერისკაცი—ქრისტიანეც არა სცოდავს: როდესაც იგივე მღვდელი მწირველია, ხოლო ერისკაცი, ჯანსაღი, იმავე დროს ლოგინში განცხრება, ხოლო ეკკლესიაში წასვლა, თუნდა კვირა-დღესასწაული იყვეს, მას სრულიად ჰაზრადაც არა აქვს? კერძოდგან ზოგადის დასკვნა უსაფუძვლოა: უკეთუ რამდენიმე პირნი, მღვდელთა თუ ერთაგანნი, არღვევენ თავის მოვალეობას, ამის გამო შეურაცხება ეკკლესიისა და საზოგადოდ ქრისტიანობისა არის ნიშანი გონებისა და სვინიდისის დაკარგვისა. ბევრი, ბევრი ნაკლი აქვს ჩვენ ცხოვრებას . ამ ნაკლში სწარმოებს იგი საუკუნოებით. დამახინჯებული ცხოვრების გასასწორებლად ადამიანი, თუმცა იგონებს სხვა და სხვა სახსართა, მაგრამ მისი ცხოვრება არა სწორდება, არც გასწორდება, ვერც მხიარულისა და მოცინარის კომედიით, ვერც ნაღვლიანის ტრაღედიით, ვერც ადამიანის გულის-თქმათა რომანული გამოხატვითა, თუმცა საზოგადოება უცხადებს ამათ დიდს ერთ-გულებას, სწირავს მათ დღესა და ღამესა, ვერცხლსა და ოქროსა..

დროა შეგნებისა, რომ ცხოვრების გასწორება, კეთილზნეობა ოქრო ვერცხლით სასყიდელი არ

არის. ამისთვის საჭიროა სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა. ეს სული სუფევს მხოლოდ ქრისტეს ეკკლესიაში: მას არ უნდა მოშორდეს ქრისტიანე, მის კურთხევით უნდა იტვირთოს მან სიმძიმე ქვეყნიური ცხოვრებისა, მის კურთხევაში უნდა განუტეოს სული თვისი, რათა შეიქმნას ძედ ზეციერი ეკკლესიისაცა, რომელიც ნეტარებით დღესასწაულობს ცოდვათა ძლევას.

ცრემლთა მდინარითა უდაბნო უქმი მოიმუშაკე და სიღრმით სულისათ სულ-თქმითა, ასეულად შრომანი ნაყოფიერ ჰყვენ, და იქმენ მნათობ და განმანათლებელ სოფლისა საკვირველებათა მიერ, მამაო წმიდაო ეფრემ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის. (ტროპ.)

ი. ბალუევი.

წიგნი „გამოსვლათა“

მოსე წინასწარმეტყველის მეორე წიგნს ებრაულს დაბადებაში ეწოდება სახელად: **„ვეელეჰ შემოთ“**— „ესე სახელები არს“, რადგანაც ამ სიტყვებით იწყება იგი; ბერძნული სახელწოდება ამ წიგნისა „ექსოდოს“ და ქართული „გამოსვლათა“ აღებულია ამ წიგნის შინაარსიდან; აქ მოთხრობილია ურიათა გამოსვლის ამბავი ეგვიპტიდან, მათი მგზავრობა სინას მთამდე და თავგადასავალი მგზავრობის დროს.

დრო, ადგილი და მიზანი წიგნის დაწერისა. წიგნი გამოსვლათა არის გაგრძელება შექმნათა წიგნისა და დაწერილია მის შემდეგ მოსესგანვე, თუმცა-კი არა ერთს დროს, არამედ დრო-გამოშვებით, იმის მიხედვით, თუ როდის ღებულობდა მოსე ღვთისაგან განცხადებას, სჯულს და ბრძანებას მათი ჩაწერის შესახებ; თვით წიგნიდან სჩანს, რომ ღმერთმა არა ერთხელ უბრძანა მოსეს ჩაეწერნა სხვა და სხვა ბრძანებანი და სიტყვანი. (17, 14; 24, $_{4}$; 34, $_{27}$ და სხვა). წიგნი „გამოსვლათა“ დაწერილია სინას უდაბნოში. **მიზანი** ამ წიგნის დაწერისა მდგომარეობს მაში, რომ დაცულ იქმნას მორწმუნეთათვის ამბავი და მოთხრობა ძველი აღთქმის ეკლესიის საბოლოოდ მოწყობისა და კანონები ეკლესიური, ზნეობრივი, სამოქალაქო, სახელმწიფო და შინაური, რომლებიც ღმერთმა მისცა ებრაელებს.

წიგნი «გამოსვლათა» განიყოფება სამ ნაწილად; პირველი ნაწილი შეიცავს თორმეტს თავს I XII; აქ აღწერილია ებრაელთა მდგომარეობა ეგვიპტეში იოსების გარდაცვალების შემდეგ მათ გამოსვლამდე და ყველა გარემოებანი ამ გამოსვლისა; მეორე ნაწილში მოთხრობილია მოგზაურობა ებრაელთა სინას მთამდე თ. XIII—XVIII; მესამეში მოთხრობილია ღვთის გამოცხადება სინას მთაზე, აღთქმა და მიღებული სჯული XIX—XL.

ნაწილი პირველი I—XII თ,

იაკობის გადასახლებიდან ეგვიპტეში ებრაელთა გამოსვლამდე განვლო ორას თხუთმეტმა წელიწადმა; ამ ხნის განმავლობაში ძენი ისრაილისანი გამრავლდნენ, აღორძინდნენ და განძლიერდნენ.

იოსების დროინდელი სამეფო გვარი განდევნილ იქმნა ეგვიპტიდან და გამეფდა ახალი მეფე, ახალი სამეფო გვარიდან. ამან არ იცოდა ის სამსახური, რომელიც იოსებმა გაუწია მეგვიპტელებს და ამიტომ მან ეჭვით და მტრულად დაუწყო ცქერა ებრაელებს; მას ძალიან აფიქრებდა და აშინებდა ებრაელთა გამრავლება, რადგანაც ეშინოდა სამეფო ტახტი არ წამართვანო და მოისურვა მათი შესუსტება. მან დაუდგინა ებრაელებს **ზედა მდგომნი საქმისანი**, ანუ მეთვალყურენი, რომელთაც უნდა შეეწუხებინათ ურიები მუშაობით. ამ დროს ურიებმაააშენეს ქალაქები: პითონი, რამესე და ონი, ანუ მზის ქალაქი (ილიოპოლის); მაგრამ რამდენადაც მეგვიპტელნი აწუხებდნენ ურიებს; ეს უკანასკნელნი, ღვთის მადლით და შეწევნით, უფრო ძლიერდებოდნენ და მრავლდებოდნენ შემცირების და შესუსტების მაგივრად, და ამიტომ უფრო შესძულდნენ მეგვიპტელებს.

რადგანაც სასტიკმა და მძიმე მუშაობამ არ შეასუსტა ურიანი, ფარაომ*) მიმართა უსასტიკესს ზომას. მან უბრძანა ბებიებს, მოეკლათ ყველა ვაჟები, რომლებიც ებრაელთა ქალებს დაებადებოდათ; მაგრამ ამ ბებია ქალებს უფლისა უფრო ეშინოდათ, ვიდრე ფარაოსი და არა ხოცავდნენ ახლად დაბადებულს ვაჟებს; განრისხებულს ფარაოს კი მოახსენეს, რომ ებრაელთა ქალები არ არიან მეგვიპ-

---

*) ყველა მეგვიპტელ მეფეებს ერქვათ სახელად „ფ ა რ ა ო“; ეს სიტყვა ნიშნავს ხარისხს: მ თ ა ვ ა რ ი, უ მ ა ღ ლ ე ს ი, უ მ ა ღ ლ ე ს ო ბ ა, მ ა ღ ა ლ ი ს ა ხ ლ ი.

1908

ტელ ქალებსავით ნაზნი, უბებიოდაც გაუპირებლივ შობენ შვილებს და ჩვენ მიგვიწვევენ ხოლმე მხოლოდ მაშინ, როცა ბავშვი უკვე ნაშობიაო. მაშინ ფარაომ მთელს სამეფოში გასცა ბრძანება, რომ უთუოდ დაეხოცათ ურიების ახლად დაბადებული ვაჟები. (თ. I).

ამ დროს ერთს ებრაელს ამრამს, რომელიც იყო ლევის ტომისგან, დაებადა ძე, სახით მშვენიერი; მშობლებმა ყრმა სასიკვდილოდ ვერ გაიმეტეს და სამი თვის განმავლობაში სახლში შეინახეს. როცა ბავშვის შენახვა სახლში შეუძლებელი გახდა, მაშინ დადამ ჩააწვინა იგი გაფისულს **კიდობანაკში,** რომელიც დადგა მდინარის პირას. ამ მდინარეზე საბანაოდ გამოვიდა ჩვეულებისამებრ მეფის ასული მხევალთა თანხლებით; მან დაინახა კიდობანაკი, უბრძანა მხევალს მისი მოტანა, გახსნა და ნახა შიგ მწოლარე და მტირალი პატარა ბიჭი; მეფის ასულმა მაშინვე იცნო, რომ ბავშვი ებრაელი იყო და მოიწონა იგი; ამ დროს გამოჩნდა იქ ამ ბავშვის და, რომელიც აქამდის ლერწმებში იყო დამალული, რომ ეცქირნა, რა მოუვიდოდა მისს ძმას; მან, მეფის ასულის თხოვნით, მოიყვანა ბავშვის გამზრდელი; გამზრდელად იყო ბავშვისავე დედა. მეფის ასულმა იშვილა წყალში ნაპოვნი ყრმა და დაარქვა მას სახელად **მოსე** *); მოსე სცხოვრებდა მეფის კარზე; აქ ის **განისწავლა ყოვლითა სიბრძნითა მეგვიპტელთათა** (საქმე მოც. 7,22).

მოსემ იცოდა გაჭირვებული მდგომარეობა ებრაელთა ეგვიპტეში, ის ხედავდა ყველა მათს უბედურებას და სწუხდა. ერთხელ მოსემ დაინახა, რომ ერთი მეგვიპტელი სცემდა ებრაელს; იგი შეწუხდა ამითი, მიეშველა ებრაელს და მოჰკლა მეგვიპტელი და დამარხა ქვიშაში. მეორე დღეს კიდევ დაინახა მოსემ, რომ ორი ებრაელი ჩხუბობდნენ; მან მოინდომა მაჩხუბართა შერიგება, მაგრამ ერთმა მათგანმა უთხრა მას: **ვინ დაგადგინა შენ მთავრად და მსაჯულად ჩვენზედა; ანუ ჩემიცა მოკვლა გნებავს შენ, ვითარცა მოჰკალ გუშინ მეგვიპტელი იგი?** მოსე მიხვდა, რომ მისგან მეგვიპტელის მოკვლის ამბავი გავრცელებულა ხალხში; მეფემდინაც მიაღწია ამ ხმამ და მან მოისურვა მოსეს მოკვლა; მოსე გაიქცა მადიამელთა ქვეყანაში, შეირთო ცოლად იქაური მღვდლის იოთორის ასული და სცხოვრებდა მშვიდობით; ებრაელნი კი კვალად შეწუხებული იყვნენ მეგვიპტელთა მძიმე უღლით. (თ. 2).

მოსე მწყსიდა თავის სიმამრის იოთორის ცხვრებს; ერთხელ ის ცხვრებით მივიდა ქორივის მთასთან. აქ მას **ეჩვენა ანგელოზი უფლისა ცეცხლითა ალისათა მაყვლოვანით გამო, და იხილა, ვითარმედ - მაყვლოვანსა ალატყდების ცეცხლი და მაყვლოვანი იგი არა შეიწვის** (თ. 3,2).

მაყვლოვანში გამოცხადებულს **ანგელოზს** მოსე უწოდებს **უფლად** და **ღმერთად;** (4—6 მ.) თვით ანგელოზი კი თავის თავს უწოდებს **ღმერთად აბრაამისა, ისაკისა და იაკობისა** (6.) ეს ანგელოზი არის ყოვლის **მცოდნე და ყოვლად შემძლებელი** (19 – 20 მუხ); ამიტომ, წმიდა მამათა აზრით, მოსეს მაყვლოვანში გამოეცხადა სამების მეორე პირი, ძე ღვთისა, რომელსაც საღვთო წერილი უწოდებს **დიდისა განზრახვისა ანგელოზს** (ესაია 9, 6), მიტომ რომ მისი საშუალებით ეუწყათ კაცთა წინა საუკუნეთა განზრახვა მათი გამოხსნისა, — და **ანგელოზი აღთქმისა** (მალ. 3, 1), მიტომ რომ მან გამოუცხადა კაცთა ძველი და ახალი აღთქმა ღვთისა.

გაგრძელება იქნება.

რედაქციისაგან.

ორი თვის განმავლობაში „მწყემსი“-ს რედაქციის სტამბაში მუშაობა არ სწარმოებდა, რადგან სტამბის მუშასთან შეთანხმება ვერ მოხდა. საქმე სამედიტორო სამართალს გადაეცა, ხოლო დროებითად ჟურნალის გამოცემა ქ. თბილისში იქმნა გადატანილი. სწორედ ამ მიზეზით შეკვეთილ „მწყემსი“-ს მარტისა და აპრილის №№-ის დაბეჭდვა. შემდეგი №-ბის გამოცემა ისევ საკუთარ სტამბაში დაიწყება და ვეცდებით კიდეც თავის დროზედ ვუგზავნოთ მკითხველებს. რაც შეეხება სამედიტორო სამართალს, რომელიც საგულისხმოა თავისი უცნაურობით, დავბეჭდავთ შემდეგ №-ში.

შინაარსი.

ოდის ველირსებით ძველი წესწყობილების შეცვლას სასულიერო წოდებაში. დეკ. დ. ღამბაშიძისა.—მღვდელთ მთავრების გადაყვან-გადმოყვანა.—დასაწყისი (თარგმანი) მღ. ი. ლუკიანოვისა.—ქრისტე (ლექსი) ლ. გაგუასი.—სახელმწიფო სათათბირო.—ახალი ამბები და შენიშვნები.—ლოცვა წ. მ. ეფრემ ასურელისა. ი. ბალუევისა.—სჯულდებითი წიგნები ძველი აღთქმისა. (გაგრძელება).

*) მ ო მეგვიპტურად ნიშნავს წყალს, შ ი ბავშვს; მ ო შ ი—ბავშვი, ანუ შვილი წყლისა; ებრაელებმა შემდეგში ეს სახელი გადააკეთეს თავიანთებურად—მ ო შ ე ჰ, რაიცა ებრაულად ნიშნავს გ ა მ ო მ ხ ს ნ ე ლ ს.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, 30 მარტი, 1908 წ.

მსწრაფლ-მბეჭდავი „ძმობისა“ მოსკოვის ქუჩაზე, № 5.